1877–1894

№ 57

ოთხშაბათი, 16 მარტი 1894

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 57

ოთხშაბათი, 16 მარტი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 31-ს ამა მარტს, გამგეობაში დანიშნული არის ვაჭრობა გასაცემად ხუთის წლის იჯარით ქალაქის საშენი ქვის სატეხის სახელწოდებით „ეკლარისა", რომელიც მდებარეობს სოფლის ჭოკნარისა მახლობლად ქუთაისის მაზრაში. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიანთ გაეცნონ ვაჭრობის პირობაებს გამგეობაში ყოველ დღეს ათის საათიდგან ორ საათამდის. (3—2)

---

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 17 მარტს

ქართული არტისტების ამხანაგობისაგან გამართული იქნება წარმოდგენა ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და კ. აბაშიძის მონაწილეობით:

**I**

## დავი-დარაბა

კომედია 3 მოქ. თ. დ. ერისთავისა

**II**

**ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ**

კომ.-ფარსი ორს მოქ. თ. რ. ერისთავისა

**III**

**დივერტისმენტი**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ვლ. ალექსეევ-მესხიშვილი
ადმინისტ. კ. შათირიშვილი

---

ტფილისი, 16 მარტს

—

გერმანიის ერის ცხოვრების მცოდნენი ამბობენ: „საფრანგეთი იმიტომ დაამარცხა გერმანიამ, რომ ამ ქვეყანას კარგი სასწავლებლები ჰქონდაო."

რამდენად საფუძვლიანია ეს აზრი, და რამდენად მართლა დამოკიდებულია სკოლაზე ერთის მხედრობისგან მეორე მხედრობის დაძლევა,—ამას ნუ შევეხებით; ხოლო—დიდი და უმაღლესი მნიშვნელობა სასწავლებლისა, ყოველს საქმეში წარმატებისა და გამარჯვების მოსაპოვებლად—დღეს უეჭველია, უბრალო სოფლის გლეხისათვისაც-კი.

მაგრამ ხშირად, რაც ყოველ კაცს ესმის, რაც დაობისა და ბაასის საგნად არასოდეს არ ხდება, სწორეთ ასეთი საგნებია დატოვებული უყურადღებოდ, მიგდებული და მივიწყებული.

ჩვენ ვთხოვთ მკითხველს გულდასმით წაიკითხოს დღევანდელი ქუთათური წერილი, ამ ნომერშივე დაბეჭდილი, და სთქვას: განა შესაძლებელია, ამ მდგომარეობაში დარჩენა საზოგადოებისთვის, რომელსაც ცოტად მაინც ესმის თავის მოვალეობა შთამომავლობის მიმართ, რომელსაც ჩინებულად შეუძლია გაიგოს, თუ რა უბედური და სამწუხარო ბოლო მოსდევს იმ გულ-გრილობას მოსწავლე თაობის მიმართ, რომელსაც მოგვითხრობს ჩვენი კორესპონდენტი?!.

ეს როგორ არის, რომ იქ, სადაც ასამდე მაინც განათლებული და შეგნებული ახალ-გაზრდა ცხოვრობს, მოსწავლე-მოზარდ თაობას ვერ მიუღია გონიერი და კეთილი პასუხი ყოველს იმ აზრისა და განზრახვის შესახებ, რაც მას არსებით საგნად გადაჰქცევია? რასაკვირველია, შესაძლებელია მრავალი მიზეზი იქნეს წარმოდგენილი ასეთის განკერძოებისა და მონაწილეობის მიუღებლობისა მოსწავლე ახალგაზდობის გონებრივად და ზნეობრივად დახმარებისა საქმეში. მაგრამ, სიკეთეც ის არის, რომ დაბრკოლებას და გაჭირვებას სძლიოს კაცმა!

კვირა არ გავა, რომ რამე სულისა და გულის შემაძრწუნებელი ამბავი არ გავიგონოთ: „აქ უფროსის კლასის მოსწავლეები გაიქცნენ და გადიკარგნენო; იქ ყმაწვილმა თავი მოიკლა, კიდევ სადმე უცნაურსა და საზარელ ქსელში გაება მოსწავლეო" და სხ. და სხ.

განა ყოველი ესე არ ამტკიცებს, რომ საბრალო ახალგაზდობას აკლია კეთილი და სათნო მაგალითები, აკლია სიყვარულითა და მეგობრობით გამსჭვალული რჩევა და დარიგება? ვინ იცის ყველა ამ გზა-დაბნეულ და გაუბედურებულ მოსწავლე თაობას, რომელსაც ცხოვრება არევია და კარგს ცუდისაგან ვერ არჩევს, რა გვარად დაეხმარებოდა და გარდაქმნიდა აზრიანი და განათლებული „წრე," რომელიც სიყვარულითა და თანაგრძნობით მოეპყრობოდა თითოეულის მათის სულის განსაცდელს, თითოეულის გულის ტკივილს! მაგრამ ასეთი წრე ჯერ ჩვენში არ არსებობს. საჭიროა ახლა მაინც, როდესაც მოზარდ მოსწავლეთა ამ მხრით სრული უჭირისუფლობა გამოირკვა, ახლა მაინც შესდგებოდეს როგორიმე საზოგადოება. იქნება იგი—„დედ-მამათა წრე", წრე მოსწავლეთა გულ-შემატკივარი," თუ სხვა—ეს სულ ერთია. მხოლოდ საჭიროა. ყმაწვილმა იცოდეს, რომ არის საზოგადოება, რომელიც მის ჭირსა და ლხინში მონაწილეა, რომ იგი ყოველს ჟამს მიიღეებს ნუგეშის საცემ პასუხს თავის ათას გვარ იჭვისას, რომელთაც მისი ნორჩი ტვინი და გული ვერ მორევია. საჭიროა ყმაწვილმა იცოდეს, რომ ყოველთვის ალერსითა და ზრუნვით აუხსნიან ყველაფერს, გააგებინებენ და დაეხმარებიან.

კიდევ განვიმეორებთ: საჭიროა ამ გვარი წრე დაარსდეს ჩვენს ქალაქებში, თუ დარწმუნებულნი ვართ და საეჭვოდ არა გვაქვს, რომ ქვეყნის ბედი მთელად მოზარდ თაობაზედ არის დამოკიდებული.

მეველე

---

## ახალი ამბავი

—

*** მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი გუშინ, ამ თვის 15-ს, დილის მატარებლით ქუთაისს გაემგზავრა.

*** როგორც გვაცნობეს, უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი საბლერი სემინარიის საქმეთა განხილვის შემდეგ ხუთშაბათს, 17 მარტს, აპირებს რუსეთში წასვლას.

*** გუშინ ქალაქის საბჭომ დაადგინა, ისევე დარჩეს წესი კვირა-უქმე დღეობით ქალაქის დუქნების დაკეტვისაო.

*** უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის საბლერის განკარგულებით, ჟამად ექვ. ხელაძის სტამბაში საჭირო ლოცვები ქართულსა და რუსულს ენაზედ, რომელიც სახელმძღვანელოდ დაურიგდებათ მასწავლებლებს.

*** გუშინ ოფიციალურად აცნობეს ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ ბათუმისა და ქ. შუშის საპატიმროებში სახადი გაჩნდა და დაპატიმრებულთა ეტაპით გაგზავნა დასახელებულ საპატიმროებში შეაყენეთ ამ სენის მოსპობამდეო.

*** გუდაურიდგან დეპეშით იუწყებიან, 15 მარტს ქარი მოისპო. 20 მუშა კაცი გზას ასუფთავებს ჩამოწოლილ ზვავისაგან. მგზავრები უკვე წავიდნენ კავკავისაკენ და ტფილისისაკენ. ყაზბეგის ახლოს კიდევ თოვს და შიშია ერთის ზვავის ჩამოწოლისა. ფოსტამ გაიარა ორსავე მხარეს.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს გამიჯვნელ განყოფილების სესსია 17 მარტს ქ. დუშეთს აპირებს წასვლას გამიჯვნის საქმეების ადგილობრივ განსახილველად. სესსიაში იმყოფებიან თავმჯდომარე—წევრი სასამართლოსი ვ. თ. პადალკო, წევრებად იქმნებიან. ა. მ. ერზინოვი და ლ. ნ. სტოიანოვსკი, ხოლო მდივნად გამიჯვნელ განყოფილებისა მდივნის თანაშემწე ნ. ბროძელი.

*** მარტის 14-ს „ნაძალადევში" დააქციეს 19 შენობა, რომელიც ქალაქის გამგეობის ნება დაურთველად აეშენებინათ კერძო კაცებს ქალაქის მიწაზედ თოფის წამლის საწყობებს ახლოს.

---

## ფელეტონი

—

**შეჩვენებული**

(ჩერქეზთ ცხოვრებიდგან)

I

წყნარი ღამეა... ზეცის მნათობი
ნათელს ჰფენს წალკოტ არე-მარესა
და ვარსკვლავთ კრება გაბრწყინვებული—
სხივით შეამკობს უცხო მხარესა...
მწვანე ზოლივით გადაჭიმულა
თვალ-უწვდენელი ტურფა მინდორი,
მთვარისა შუქზედ ნაზად ბიბინებს
ხელის გულივით გაშლილი, სწორი...
ღამის გუშაგებრ ზე ამართული
მოსჩანს მთის წვერი, თოვლით მოსილი,
თითქო დარაჯად უდგია სოფელს
მტრისა ეშინის, არ მოდის ძილი...
და მის გულიდან ანკარა წყარო
ჩამოჩანჩქარებს, ჰნამავს მინდორ-ველს,
ნაპირი მისი, ყვავილთ მოსილი
იზიდავს თვისკენ გამვლელ-გამომვლელს.
მაღალ მთის ძირში გაშენებული
ძილს მისცემია ჩერქეზთ სოფელი.
ხმა არსით ისმის... მყუდროებაა...
მარტო დიდ კოშკში მოსჩანს სანთელი:
ალბათ ჯერ ფხიზლობს იქ მასპინძელი,
ძილი არ მოსდის მზეთ უნახვსა—
ხვალ ამ კოშკის ძირს მივლენ გმირები
განაჩენს მძიმეს მოსთხოვენ ქალსა...
კაი ხანია ჩერქეზთ ქვეყანას
ქებით განთქმულა როშას სახელი:
მშვენიერისგან მრავალ ვაჟ-კაცსა
გულს მოსწოლია ტრფობის ნაღველი.
ზოგი იმისთვის გაშმაგებული
გადაკარგულა შორს, უცხო მხარეს,
და სამუდამოთ გამოთხოვია
თავის სამშობლოს ტკბილ არე-მარეს...
მაგრამ სანაცვლოდ მზეთ-უნახავსა
გაყინული აქვს ყველასთვის გული,
თითქოს ბუნებას არ დაუსახავს
როშასთვის ტრფობა და სიყვარული.
შეითქვნენ გმირნი და ყველა ერთად
გარს შემოერტყა ლამაზის სადგურს
და შეუთვალეს: „თავ-მოყრილნი ვართ,
ამოირჩიე ქმრად, რომელიც გსურს!..
გვითხარ რაც გინდა, რომ შეგისრულოთ,
კაცთაგან ძნელად შესაძლებელი:
თუ გსურს, მზათა ვართ, ვისაც აგვირჩევ,
ოქროთ მოგიგოთ გზები სავლელი!
ყოველს შენს სურვილს, ლხენით თავს ვიდებთ:
სასტიკ სატანჯველს, გვემას, მონებას,
ოღონდ ვიცოდეთ, რომ ნაცვალ ჯილდოთ
გვაღირსებ, მზეო, შენს დაკონებას!..
ან თუ გწადიან, ჩერქეზთ სამთავროს
სამ დღეში ვაქცევთ ტურფა სამეფოდ;
სხვა არვინ გვინდა, შენ ერთს გცემთ თაყვანს,
მზად ვართ მთელს ერზედ შენ გაგამეფოდ"!..
რა მიუვიდა ქალს მოციქული,
გულმა სიამით გაუფანცქალა
და „ხვალ მიიღებთ ნაცვალ პასუხსო",
კოშკთან მდგომ გმირებს შემოუთვალა!..

II

გათენდა დილა. მაღალსა კოშკზე
თეთრით მოსილი გადმოდგა ქალი:
ბადრი, ვით მთვარე, ბრწყინვალე ვით მზე,
ცით ჩამოსული ქვეყნისა თვალი.
ყელ-მოღერილი დადგა ამაყად,
შავი თვალები ძირს დაანათა,
მხარზედ გადიგდო გიშრის ნაწნავი
და ნარნარის ხმით გმირებს მიჰმართა:
—მოსულხართ მისთვის, რომ აღთქმისამებრ
დღეს გაგიცხადოთ ჩემი წადილი?
ბევრს ვერას მოგთხოვთ, რადგან ვერ გიზღავთ,
დიაცს არ შვენის ტყვილი ქადილი!..
არ მსურს მეფობა, არც სხვა რამ ჯილდო,
არც ფეხ-ქვეშ სტავრად ოქრო და ვერცხლი:
თუ არ რჩეულს გმირს, სხვას არვის ვიქმრობ,
გულს არ მიდაგავს ტრფობისა ცეცხლი...
თქვენც კარგად იცით, სამშობლო მხარეს
შემორტყმული ჰყავს მტრისა ლაშქარი,
თუ არ უშველეთ, სულ აგვიკლებენ,
დაუჭერიათ ჩვენი საზღვარი...
სჯობიან მტერი ახლავ დარწმუნდეს—
ჩერქეზთ ჭაბუკნი არ ჰხართ ლაჩარი
და ჩვენ ქვეყანას თქვენებრ რჩეული
მუდამ მზადა ჰყავს მრავალი ჯარი...
ვისაც ვუყვარვარ—სურს მისი ვიყო,
მამაცად უნდა მტრის ჯარში განვლოს—
ნიშნად გავატან ჩემ ხელ-მანდილსა
და მტრის ზარბაზანს პირში მოავლოს.
ვინც მისი თოფის წამლით შემურულს
უკან მომიტანს ჩემს ხელ-მანდილსა—
ის ქმარი იყოს და მე-კი ცოლი,
ის შეისრულებს გულის წადილსა...
მეტი სათქმელი მე აღარა მაქვს,
გამოგიცხადეთ ჩემი წადილი:
დღეს გამოჩნდება ვინც ვაჟკაცია
და, აჰა, ნიშნად ჩემი მანდილი!..
ეს სთქვა და ტურფამ თავის ხელ-მანდილს
ბროლის თითები ნაზად მოჰკიდა,
ძირს გადისროლა და გატრიალდა;
ტრფიალთა უფრო ცეცხლი მოჰკიდა!..
უხარისთ გმირებს, რადგან ჰგონიათ
როშა თავის თავს სამშობლოს სწირავს
და ცოლად მხოლოდ იმას წაჰყვება,
ვინც რომ სამშობლოს დამრბევს განგმირავს.
ერთხმათ ამბობენ: თუ ვართ ვაჟკაცნი
და გვწადს სამშობლოს ბედნიერება,
დროც ახლა არის, რომ განვამტკიცოთ
ძმობა, ერთობა, თავისუფლება!..
მაშ რაღას ვუცდით? ჰა, მოედანი
და მტრისა ჯარი ზედ დარაზმული!
დროშად აღვმართოთ ეს ხელ-მანდილი
და ვიხსნათ ჩვენი ტურფა მამული!..
ორმოც-და-ათსა ჩერქეზთ ჭაბუკსა

ამასთანვე ამ ჟამად ქალაქის გამგეობამ გადასცა სასამართლოს სამასამდე ოქმი, შედგენილი პოლიციის მიერ ქალაქის მოხელეებითურთ იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობის მიერ ნება დაურთველად ქალაქის მიწაზედ, რომელსაც თითონვე ,,ნაძალადევი'' უწოდეს, ააშენეს სახლები. ქალაქის გამგეობამ თუმცა შეიტანა საჩივარი სასამართლოში, მაგრამ ამ საქმის გარჩევის და აღმასრულებელ ფურცლების აღების შემდეგ არ დაუქცევს იმათ შენობებს. საჩივარი გამგეობამ შეიტანა მხოლოდ, იმიტომ, რომ ქალაქმა არ დაჰკარგოს თავისი უფლება ამ მიწებზე, რომელსაც ,,ნაძალადევში'' სახლის პატრონებს ან მიჰყიდის, ანუ იჯარით მისცემს, იმ ოც-და-ათ სახლის პატრონებს, რომელთაც სახელმწიფო მიწებზედ აუშენებიათ სახლები მთავრობის ნება დაურთველადა ქალაქის გამგეობა მისცემს ,,ნაძალადევშივე'' ქალაქის მიწას, სადაც მათ შეუძლიანთ შენობის აგება და ძველი შენობები, სახელმწიფო მიწაზედ აშენებული-კი, უნდა დააქციონ.

*** წესი ამიერ კავკასიის რკინის გზის სახალხო მატარებლის სიარულისა, რომელიც ეხლა განჯასა და ტფილისშუა დადის, ამ თვის დამლევიდგან შეცვლილი იქნება.

ეხლა რომ ტფილისიდგან საღამოს ათის ოც წამზედ გადის, მაშინ გავა ბათუმიდგან სახალხო მატარებლის მოსვლის შემდეგ, ე. ი. საღამოს თერთმეტის ნახევარზედ, მივა პირდ პირ ევლახში. სიჩქარე ოცდა თერთმეტი ვერსი აქვს საათში, ევლახს მივა დილის რვა საათ., გამოდის საღამოს ცხრა საათზედ და ქალაქში ჩამოვა დილის რვის ნახევარზედ, როგორც ამ ჟამად. ამ გვარად მგზავრებს ეძლევათ საშუალება ბათუმისა, ფოთისა და ქუთაისიდგან გამოვიდნენ იმ მატარებლით, რომელიც ამ ჟამად ბათუმიდგან მოდის დილით, და მეორე დილას ევლახში იყვნენ.

*** დღეს, ოთხშაბათს, ამიერ-კავკასიის საიმპერატორო საზოგადოებაში დანიშნულია ჩვეულებრივი კრება ამ საზოგადოების წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს მიმდინარე საქმეები, მოხსენება ნ. სმირნიცკისა—როგორ უნდა განკარგდეს სადგური აჯიქაბული, რომ ჯანმრთელობისათვის მავნებელი არ იყოს და ვ. კ. პანჩენკოსი—სპერმინის მნიშვნელობის შესახებ (къ вопросу о вліяніи спермина на процессы окисленія и аутоинтоксикаціи). კრებაზედ დასწრება არა წევრთაც შეუძლიანთ. კრება დაიწყება საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ.

## კორესპონდენცია

**ქუთაისი.** იშვიათი შემთხვევა არ არის აქ, რომ მოსწავლე ყმაწვილები ანებებენ თავს სწავლას და გარბიან სკოლიდამ. სულ მცირე ხანში რამდენიმე ყმაწვილი გაიქცა ამ სახით აქაურ სასწავლებლებიდამ, უფრო-კი გიმნაზიიდამა და პროგიმნაზიიდამ და ამ ნაირად მიანება თავი სწავლას. ყოვლად სამწუხარო ამბავია ეს ამბავი. მით უფრო სამწუხარო, რომ გაურბიან სწავლას უფრო შეძლებულ მშობელთა შვილები, რომელნიც შემდეგ, ასე უსწავლელად დარჩენის გამო, ვინ იცის, რა გზას ადგებიან ცხოვრებაში. თუ შეძლებულთა შვილები ასე იქცევიან, შეუძლებელთა შვილებს უფრო მეტი საბუთი აქვთ, თავი მოარიდონ იმ გაჭირვებულს ყოფას, რომელშიაც ისინი არიან სიღარიბისა გამო. ამათ უნდა აიტანონ ცალკე სიმშილი, ცალკე სიტიტვლე და ცალკე—სხვა მრავალი გაჭირვება. რა არის ამის მიზეზი? ჩვენის აზრით, ამის მიზეზი ის არის, სხვათა—შორის, რომ არავითარი ისეთი დაწესებულება არ არსებობს, რომელსაც აზრად ჰქონდეს მოსწავლე ყმაწვილ-კაცობას თვალყური ადევნოს და ზნეობრივ და ქონებრივ დასახმარებლად ხელი გაუწოდოს. ამის გარდა, თვით ჩვენი შეგნებული ნასწავლი, შეგნებული თაობა უგულოდ, ყოვლად გულ-გრილად ეკიდება მოსწავლე თაობას: არავითარი ურთიერთობა არა აქვთ მათთან, არაფრით არ ეწევიან, არაფრით დახმარებას არ უწევენ არც სიტყვით, არც საქმით, არც ზნეობრივად და არც ქონებრივად. ეს ისეთი საქმეა, რომ ღირს ყურადღების მისაქცევად ჩვენის განათლებულ კაცების მიერ. როცა უსწავლელნი ანუ ნახევრად ნასწავლნი ყმაწვილნი შემდეგ ქორ-სვავებად გადიქცევიან, მერე გვიან-ღა იქნება თავში-ცემა და გოდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება იზრუნებს რასმე და ასე თუ ისე შემწეობის ხელს გაუწოდებს საწყალს, უპატრონოდ, უხელ-მძღვანელოდ მიტოვებულს მოსწავლეებს,—ამ ქვეყნის მომავალ იმედებსა და ნუგეშებს.

მ.

**სოფ. მუსხი.** (ახალციხის მაზრა): დასეტყვა თუ არა ზაფხულში აქაური ჭირნახული, ხალხმა მაშინვე დაიწყო ჩივილ-ტირილი, რომ საქონლის საკვების ნაკლებულობა გაგვიჭირვებს საქმესაო. მართლაც ასე ახდა: დასეტყვილ ბჯისაგან მეტად ცოტა ბზე დაუდგათ. წრევანდელ გაზაფხულის დაგვიანებამ ხალხს მეტისმეტად გაუჭირა საქმე: საბძლები და სათივეები მთლად დაუცალიერდათ და საქონლის საცოდავი ბღავილი უსაჭმელობის გამო ადამიანს სიბრალულსა ჰგვრის...

დარები რომ ყოფილიყო, როგორც ამას წინად გწერდით, ხალხს შეეძლო კლდე-ღრიდგან ეთხარა «გლერძა-ეკალი» და ამითი როგორმე პირუტყვნი დაეკმაყოფილებინა; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ეს დალოცვილი მარტი ერთ ჰკუაზედ არ არის;—ერთი დღე თუ გამოიდარა, მეორე-მესამე დღეს თავ-პირი ჩამოსტირის, ჰქუხლობს და თოვლ-ჭყაპით გვიკლავს... და ხალხი შინიდგან ფეხს ვერ ადგამს გარედ.

შარშან აქაურებს აუარებელი თივა-ბზე ჰქონდათ და ახალციხეში-კი ამ დროს ძალიან ძვირი იყო ბზე. მუსხელებმა ჰნახეს, რომ ბაზარში დიდი ფასი აქვს ბზესაო, შევიდნენ ფულის სიხარბეში, ზიდეს ცხენ-ვირებით საპალნეები და თითო ტომარა, რომელშიაც ორი-სამი ,,მერკა'' არ ჩავიდოდა, ორ-ოლ აბაზად, ხან მეტადაც, ჰყიდეს. გაზაფხულამდე საბძლები მთლად დააცალიერეს, იმასკი არ ჰფიქრობდნენ, რომ მომავალი მოსავალი როგორი იქნებოდა... ეხლა მუსხელები იგონებენ შარშანდელ შეცდომას, მაგრამ გვიან-ღაა. ახალციხეში შარშან რომ ისრე ძვირად ასაღებდნენ ბზეს, მყიდველები მუსხელებს, როგორც ეხლა თვითონ ამბობენ, ასრე ეუბნებოდნენ: «ეს ერთი და ღმერთსა ვსთხოვთ ამის მეტი აღარა გაგვაყიდვინოთ-რაო» მართლაცა და ამ წყევლამ იმოქმედა ხალხზედ: გაყიდვას ვინღა იტყვის, ნეტავი იყვეს სადმე, რომ თითონ იყიდონ. ამ ბოლო დროს ისრე შემოაკლდათ ბზე-თივა, რომ სულ მდიდარი ოჯახი-შვილებიც, რომლებიც „გლერძაზედ“ სიარულს არ კადრულობდნენ, დღეს თუ დარი ხელს უწყობთ, კლდე-ღრეებში დაიარებიან ღარიბ ხალხთან ერთად და საღამოთი, ზურგზედ დატვირთული გლერძით, ოფლში გაწურულნი და დაქანცულები ბრუნდებიან შინ...

ამას წინად ერთს კაცს თავის უმცროს ძმისათვის წელზედ მოება თოკი, ჩაეკიდნა მიუვალ ფრიალო კლდიდგან და ამ ნაირათ თოკ-მობმული, საცოდაობით, ცულით სჭრიდა კლდის ვეღრდებში „გლერძასა“, რადგან მისადგომ ადგილებში აღარა მოიპოვებოდა რა. რა გასაკვირველია, რომ ამნაირ ციცაბ კლდეებში გლერძის კრეფის დროს რაიმე უბედურება შეხდეს და დაშავდეს ვინმე...

თოვლი თითქმის სულ დადნა, თვინიერ ჩრდილო ადგილებისა და ტყეებისა. ხმელი სიცივე და ქარბუქ-თოვლ-ჭყაპები არ გვაკლია. ამ ბოლო დროს ზამთარმა ისრე პირი გაიშავა, რომ დღემდე სასტიკის სიცივეების გამო ცეცხლის ნთებისათვის თავი ვერ დაგვინებებია...

დიდის სიხარულით უნდა მოვიხსენიოთ აქვე ის ამბავიც, რომ მუსხის ხიდის ბურჯებს, რომლებზედაც ამას წინად ვსწერებოდი უკვე დააწყეს ძელები (გასაყრები) და ეხლა მხოლოდ დასაფიცრია და მოაჯირების შემოვლება უკლიათ, რომელსაც, ვგონებ, მალე შეასრულებენ და თავისუფალი მისვლა-მოსვლა გვექნება ყველას საფოსტო გზამდე. ხიდი უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ დაწყობილ ძელებში ერთი-ორი ხან გავლილი ძელი არ ერიოს, მაგრამ როგორც ირმწუნებიან გლეხები, ეს ძელები გამოსულია, გულ-კვარიანებია და ახლებთან გასძლებენო.

ამ კეთილ საქმის დაგვირგვინებაში დიდი მეცადინეობა და შრომა-ჯაფა მიუძღვის ურავლის ნაწილის ბოქაულს ბ-ნ ილია გამრეკელს.

ვასილ კოპტონაშვილი

## პასუხად პასუხისა

დეკანოზ ღამბაშიძეს

მაქვნდა პატივი და წავიკითხე პასუხი დეკ. დ. ღამბაშიძისა, ამ წლის „მწყემსის“ მესამე ნომერში *).

„კარაბადინის“ ავტორო! მერწმუნეთ, ტყუილად გაგულისებულხართ, ამას ყველა შეგნებული მკითხველი გეტყვით. მაგრამ ვიდრე მე და თქვენ სამეცნიერო კამათობას გავაჩაღებდეთ, ჯერ შეგირდათ უნდა მიებაროთ აფთიაქში ან მე ან სხვას. მე, კანონის ძალით, მოვალე ვიქნები სამის წლის განმავლობაში დაგამზადოთ და მერე გაგისტუმროთ უნივერსიტეტში, იქ სამიოდ თვეში მოემზადებით და დაიჭერთ ეგზამენს აფთექრის თანაშემწეს ადგილის დასაჭერად, იმ აფთექრის თანაშემწესი, რომელიც თქვენ პროვიზორი გგონიათ და რომელსაც თქვენს პასუხში თითქმის ყველა სტრიქონში დაცინვის კილოთი, ირონიზიულად იხსენიებთ.

როცა ღმერთი შეგეწევათ და აფთექრის თანაშემწის დიპლომით დაბრუნდებით უნივერსიტეტიდგან, მაშინ ისევ აფთექში იმსახურებთ კიდევ სამი წელიწადი (ასეა მთავრობისგან დადგენილი კანონი და აბარა გაეწყობა.) მერე როცა ამ სამის წლის განმავლობაშიაც გამოიცდებით პრაქტიკულად და მოემზადებით, მა-

*) ეს პასუხი გამოიწვია იმ ჩემმა საბიბლიოგრაფიო წერილმა: „ჩვენი სახალხო საექიმო წიგნები“, რომელიც დაბეჭდილი იყო ამ წლის „ივერიის“ №№ 23, 24, 25, 26, და 27-ში.

---

მოლესილი აქვთ მტრისათვის ხმალი
და გულს უღელვებსთ ორ-გვარი გრძნობა:
რომას ტრფიალი, სამშობლოს ვალი!..

III

სოფლის გადაღმა, ლამაზსა ქედსა,
შუა ჰყოფს ცელქი მთისა მდინარე;
გადმოჰქუხს კლდიდან ალქაფებული
მარდი, ანკარა—მოუწყინარე.
ამ ქედის ძირში, წათამამებულს
მტერს დაუცია თავისი ბინა,
მწვანეზედა დგას ლაშქრის კარვები,
დარაჯნი მრავლად უდგანან წინა.
გველ-ვეშაპივით დაღრენილ პირი
მთებისკენა აქვს მტრისა ზარბაზნებს,
თითქო დაქცევას უქადის ქედსა—
შთანთქმას უპირობს მის იქით სოფლებს...
ორმოცი გმირი არის მოკლული,
მაგრამ დანარჩენს რა გააბრუნებს,
შიშს როდის იგრძნობს ჩერქეზის გული!..
მიდიან თითოდ, მაგრამ ცოცხალი
ჯერ ბანაკიდან ვერვინ დაბრუნდა,
სიკვდილს ირჩევენ, რადგან ჩერქეზსა
მტრისგან ძლეული თავი არ უნდა...
ერთი-ღა დარჩა და ტყვია მასაც
ცალე მოუღებს სიცოცხლის ბოლოს.
თუ არ თავიდან ხელ-აღებული—
ვინ-ღა გაბედავს, რომ შეებრძოლოს?!
მაგრამ მამაცი ამ სიმარტოვეს
არ ერიდება, სწადის შეებას,
ახლავე მოკვდეს, ის ურჩევნია,
მტრისგან გაქცეულ შინ დაბრუნებას.
იშიშვლა ხმალი და შეუპოვრად
ერთი შეჰკივლა მტრისა ლაშქარსა
და, ვითა ვეფხი გააფთრებული.
შიგ ჩაერია დარაზმულ ჯარსა...
ჰხოცავს უწყალოდ ყოველის კუთხით,
ვაჟკაცის ხმალი მტრის თავზე ელავს,
აღარვის სტოვებს: მარჯვნით და მარხნით
განრისხებული მიდის, მიცელავს...
გაოცდა ჯარი... რაინდის სიმხნით
თითქო ზეციდან იყო დამკრთალი
შეჰყურებს ყველა ჩერქეზის ჭაბუკს
ველარას აწყობს მთავარ-სარდალი...
იმა გმირსა, მტრის წინამძღვარი
თვის სიახლოვეს რომ დაინახა,
შეატრიალა ხმალი ჰაერში—
განრისხებული სარდალს შესძახა:
—დადექ, ლაჩარო, ველარ წამიხვალ,
შენზედ ავიყრი მთელის ქვეყნის ჟინს,
შენისავ სისხლით მოვრწყავ მინდორველს
და დაგიბნელებ, ხარბო, თვალის ჩინს!..
ნუ თუ გგონია, შენებრ მოსულნი
ეღირსებიან ჩვენზედ უფლებას
და როგორც უნდათ ისე შებღალვენ
ჩერქეზთ უმანკო თავისუფლებას?...
ვერა, წყეულო, ვერ ეღირსები,
ვერ აისრულებ შენს ბოროტ სურვილს!...
დაგცლი სისხლისგან, თუ მამაცი ვარ,
მით დაგიამებ მაგ მხეცურ წყურვილს!.
ამ სიტყვებითა მიუხდა სარდალს,
ხმლის ამოღება არ დააცალა,
შემოუქნია მარდათ ტაბანი,
თავი ტანიდან გადააცალა...
გამოტრიალდა გამარჯვებული,
რომას ხელ-მანდილს აქა-იქ ეძებს,
და ნახა კიდეც: თავის ამხანაგს
ავგაროზივით გულზედ დაუდევს.
აიღო კრძალვით სისხლით დასვრილი
და, რა იხილა მკვდარ ჩერქეზთ გროვა,
ვერ შეიკავა ცხარე ცრემლები
გაუსსკდა ოხვრა და გლოვა...

V

ამაყობს რომა, რადგან იმისთვის
რჩეულნი გმირნი მტრის ხელით წყდება;
ოცნებობს: მისი შვენების ქება
ყოველს ქვეყანას მოეფინება.
ამ წარმოდგენით გაბრწყინვებული
კოშკზე გადმოდგა, გაჰყურებს მინდორს...
ამ დროს მისაკენ ჩქარად მიმავალს
ჩერქეზთა ჭაბუკს თვალი მოჰკრა შორს.
იცნო მაშინვე და მეტად უკვირს
თავ-გამეტებით მისი გმირობა,
რადგან გადარჩა, არ შეუძლია,
რომ დაურღვიოს მამაცს პირობა.
კოშკიდგან ბაღში ჩამოირბინა,
გამარჯვებულ გმირს წინ მიეგება,
და უთხრა: ახლა სწორედ ღირსი ხარ
ჩემი სიტურფე ჯილდოდ გერგება!.
—ღმერთმა მაშოროს!... მიუგო გმირმა:
შენ სიახლოვეს რომ მეგეკარო,
ლაშქრის სამძარ ხმა და კიჟინზე
მთისა ნადირი შეშინებული
და უწინდელებრ შეუპოვარად
წყალის სასმელად ვერ ჩამოსულა...
ამ მთების შვილი, ლაღი ირემი
ხშირად მაშვრალი აქ ისვენებდა,
ეწაფებოდა აქელვებული,
სიცხით გამშრალ ყელს გაისველებდა...
მაგრამ ახლა-კი, კაი ხანია,
აღარ უქნია ჩვენსკენ პირი:
შეშინებია, რომ ქედის ახლოს
არა ჩვეული ესმის საყვირი...
სწყურია, მაგრამ რა ჰქნას საბრალომ,
ველარ სცილდება თავისა ბუნაგს
და ამას ფიქრობს: ,,მე თუ არ მდევენ,
ამ გორის ძირში ვის რა საქმე აქვს?!.
ჩვენთვისა წყნარად ბალახსა ვწიწკნით,
შევკედლებივარ ამ კურთხეულ მთებს..
მაგრამ, აქაც-კი უწყალოდ გვხოცვენ
და გვიობლებენ პატარა ნუკრებს.
ის ვიღაცაა, ერთი კვირაა,
მუდამ რომ ყვირის, სწორედ მე მეძებს,
მაგრამ ამ ხის ძირს რომ არ გავცდები,
რითი იპოვნის ჩემ ნაკვალევ გზებს?!.“
და ნაღვლიანმა კაცთა სიავით
ირემმა ნუკრი გულს მიიწვინა,
ტუჩი დაადო პაწაწა რქებზე,
თავი ჩაქინდრა და ჩაეძინა!..

IV

სახელ განთქმული ჩერქეზთ თავადი!
გმირობით სწორთა შორის ქებული,
მიდის მტრისაკენ შეუპოვარად,
აჰლად ულვაშებ ამწვანებული...
მარცხენა ხელი ხმალზე უდვია,
მარჯვენით მიაქვს რომას ნიშანი,
გულით ისწრაფვის, ტურფის ხელ-მანდილს
მოაწმენდინოს მტრის ზარბაზანი.
აგერ ბანაკიც... მაგრამ არვინ სჩანს:

ვინ წახვალთ ისევ უნივერსიტეტში, სადაც ორის წლის განმავლობაში მოისმენთ თქვენთვის სავალდებულო ლექციებს სამკურნალო ფაკულტეტზედ და პრაქტიკულად თქვენისავე ხელით მოამზადებთ ქიმიურს ლაბორატორიებში იმ თქვენს საბრალო „ქეზაფსაც“ და „კრეოზოტსაც“ და, დამერწმუნეთ, მაშინ აღარ დაიჯერებთ, რომ „ქეზაფი“ და „კრეოზოტი“ ერთი და იგივე არის. აგრეთვე მოამზადებთ იმ თქვენ მიერ თეთრ შაბიამანად და ყანჭაროდ მონათლულ, თეთრ აჯასპსაც (გოგირდმჟავა თუთია) და, თუ იპრიანა ერთმა და სამიოდ წელში (ზოგი 12 წელიწადსაც უნდება) დაიჭირეთ ეგზამენი, მაშინ მიიღებთ მეცნიერულ ხარისხს (ученая степень), პროვიზორობის დიპლომს და სწორედ მაშინ შეიტყობთ და გაიცნობთ რა მეცნიერი და ქიმიკოსი ყოფილა პროვიზორი. მაშინ უფრო მოწიწებით ახსენებთ პროვიზორის სახელს და აღარ იტყვით „ვიღაც პროვიზორი“. ჭეშმარიტად საბრალონი არიან თქვენის „მწყემსის“ მკითხველები. არც თქვენ გცოდნიათ პროვიზორი ხეს ახხია, თუ მინდვრად მოდის და თქვენს მკითხველებსაც გზას უბნევთ და ამცირებთ პროვიზორს მათს თვალში.

დიაღ, ჩემო ბატონო, ის უნდა მომეხსენებინა. როდესაც პროვიზორობის დიპლომს მიიღებთ, აი მაშინ დიდის სიამოვნებით გაგიწევთ სამეცნიერო კამათობას, არამცთუ მარტო ფარმაციაზედ, არამედ ყველა იმ მეცნიერებაზე, რომელ მეცნიერებაშიაც პროვიზორები განვითარებულნი არიან. მაგალითად, ვიბაასებთ მინერალოგიასა, გეოლოგიასა, ბოტანიკასა, ზოოლოგიასა, ფიზიკასა, მინერალურ ქიმიასა, ორგანიულ ქიმიასა, და ფარმაკოპიაზედ, სწორედ იმ ფარმაკოპიაზედ, რომელიც ყველა სახემწიფოებს კანონად აქვსთ დადგენილი და რომლის ძალითაც პროფესორებიც და დოქტორებიც თხოულობენ წამლებს აფთიაქებიდგან და აფთიაქები — პროვიზორებიც ვალდებულნი არიან წამლები ამზადონ მხოლოდ ფარმაკოპიის თანხმად.

აი, მამაო, თქვენ რო გცოდნოდათ, რუსეთის იმპერიაში არსებობს და წარმოობს Россійская фармакопея, изданная по Высочайшему повелѣнію, медицинскимъ Совѣтомъ министерства внутреннихъ дѣлъ, მაშინ „გოფმანის კაპლის“ და ყველა სხვა წამლების მომზადებასაც იქიდგან ამოსწერდით თქვენის კარაბადინისთვის და აღარ მოიყვანდით საბუთად ვიღაც თქვენ მიერ შესანიშნავ დოქტორად აღიარებულს და მის ფარმაკოლოგიას, თქვენ მიერვე შესანიშნავ წიგნად აღიარებულს. მაშინ აღარც ის წამოგცდებოდათ თქვენს პასუხში.... „რატომ ისე უნდა შეგვეზავებია წამლები, როგორც ზიარელი პროვიზორი გვიუბნება, ამას ის არაფრით გვიმტკიცებსო. რომელს დავუჯეროთ, ამ შესანიშნავ ექიმს ფორმოკოლოგს (ესტერლენს), თუ ზიარელ აფთექის თანაშემწესაო?“

ამასთანავე თქვენს პასუხში დაგიჟინიათ, რომ „სრულებიდ არ შეუძლია დამტკიცებით სთქვას პრავიზორმა, რომ ეს და ეს წამალი კარგია და ეს და ეს ცუდიო“. მაშ უთუოდ მღვდლებს შეუძლიანთ! საწყალი თქვენი მკითხველები, რამდენ საგანზედ უკუღმართ შეხედულობას ისწავლიან თქვენს გაზეთში!

თქვენდა სამწუხაროდ, მამაო, მხოლოდ პროვიზორს, ვით ქიმიკოსს, შეუძლია წამლის ავ-კარგიანობის შეტყობა და მთავრობა ექსპერტად მხოლოდ პროვიზორს მიიწვევს ხოლმე, როდესაც წამლების შესახებ სადმე ასე თუ ისე დავა აღიძვრის. ამისათვის ყოველ საგუბერნიო მმართველობაში (губернское правленіе) მთელს რუსეთში, ყველა საგუბერნიო საექიმო განყოფილებაში (врачебное отдѣленіе) თითო ექსპერტი—ქიმიკოსი პროვიზორიც ირიცხება სამსახურში. დიაღ, თქვენდა სამწუხაროდ, მამაო, პროვიზორები ე. ი. ფარმაცევტები აკადემიკოსებიც გახლავან, როგორც მაგალითად Академикъ и заслуженный Професоръ Императорской Военно-Медицинской Академіи, Непремѣнный Членъ Военно-Медицинскаго ученаго Комитета Юлій Карловичъ Траппъ.

— დიაღ, ბატონო, თითქმის ყველა უნივერსიტეტში ფარმაციის პროფესორები პროვიზორები ე. ი. ფარმაცევტები გახლავან (ხარკოვში—ჩირიკოვი, ვარშავში—დავიდოვი, ყაზანში № №, ტომსკში № № და სხვა). — და რა საჭიროა ამათი ჩამოთვლა როდესაც, არამც თუ ესენი, ყველა პროვიზორი კანონით ვალდებულია გამომძიებლისაგან წარმოგზავნილი ადამიანის შიგნეულობა ქიმიურად გამოიკვლიოს და თავის აზრი წარუდგინოს, მოწამლულია ადამიანი თუ არა და, თუ მოწამლულია, რომელ საწამლავით არის მოწამლული, ისიც უნდა დაამტკიცოს. კი, ბატონო, თქვენ მორჩილ მოწაფესაც არა ერთხელ ჰქონია ამგვარი შემთხვევა.

ზიარელი პროვიზორი

(დასასრული იქნება)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

მასწავლებელთაა შორის წესად არის მიღებული, რომ მოსწავლეებს კვირა-დღესასწაულ დღის წინად დიდს გაკვეთილს აძლევენ მოსამზადებლად, რაც პედაგოგიის მხრივ, რასაკვირველია, დიდი უწესოებაა. საბრალო მოსწავლე გიმნაზიისა მთელის კვირის განმავლობაში 10—11 საათსა ჰმუშაობს ყოველ დღე და მოკლებულია დასვენებას დღესასწაულშიაცკი, მოკლებულია იმას, რაც კანონითა და ჩვეულებით წლოვანებსაცკი მინიჭებული აქვთ. ჟურნალ «Русская школа“-ს. მარტის წიგნში დაბეჭდილია წერილი ამ საგნის შესახებ ბ-ნის ზაიკევიჩისა, რომელიც ყოველ მხრივ განიხილავს ამ საქმეს და დასასრულ იმას დაასკვნის, რომ სრულიად უნდა შეიცვალოს სადღესასწაულო და საკვირადღეოდ დიდრონის გაკვეთილის ძლევისა. იმისი აზრით,

როდესაც კვირაობით მაინც დასვენებული იქნება ბავშვი, ეს შეძლებას მისცემს ის გააკეთოს, რაც თითონა ჰსურს, დინჯად, აუჩქარებლად იფიქროს, მოიგონოს რამე. ამ გვარად, ოდნავ მაინც დახმარება აღმოეჩინება იმის თვით-მყოფელობას, ფიქრის თავისებურობას, — იმ თვისებას, რომელიც ამ ჟამად, დაუსრულებელ გარეგან გავლენათა წყალობით, იშვიათად თუ აქვს ვისმე შერჩენილიო.

„Гражданинъ“-ში დაბეჭდილია ლაპარაკი ამ გაზეთის თანამშრომლისა პროვინციის ერთს არტისტთან. პროვინციის არტისტები ამ ბოლოს დროს დიდად სჩივიან, რომ სატახტო ქალაქების არტისტები ზაფხულობით რუსეთის სხვა-და-სხვა მხარეს დსეირნობენ, წარმოდგენებსა ჰმართავენ და ლუკმას გვიჭრიანო. მაგრამ პროვინციის საბრალო არტისტებს თურმე ზამთარშიაცა ჰყოლიათ ლუკმის მომჭრელნი. ვინ არიან მერე ეს მეტოქენი? აი რა უთქვამს არტისტს:

— ჩამოვიდა ჩვენში მასხარა დუროვი თავის გაწვრთნილ ღორებითურთ და დღესასწაულს დღეებში სრულიად გადაიბირა თავისკენ საზოგადოება, თუმცა დიდი იმედი გვქონდა ამ დღესასწაულებისა.

— ღორები იყვნენ საშიშნი მეტოქენი?

— სწორედ დაუძლეველნი! გამარჯვება იმათ დარჩათ, ჩვენ-კი ტყავს ვიძრობდით და მაინც ვერა მოვუხერხეთ-რა საზოგადოებას, რომელიც მანამდე ჩვენსკენ მოწყალე თვალით იხედებოდა და მერე-კი ღორებისაკენ გადავიდა, მით უმეტესს, რომ ეს ღორები მცირე ხნით იყვნენ ჩამოსულნი. „არტისტების ნახვას კიდევ მოვესწრებითო, ამბობდნენ: დღესასწაულს შემდეგაც აქ იქნებიან, ღორები-კი ჩვენთან მცირე ხნით არიან სტუმრად ჩამოსულებიო“... ამ გვარად, ღორები იყვნენ დუროვის მეთაურობით ქეიფში... განა ძნელი არ არის არტისტის მდგომარეობა, როდესაც ღორების სიკეთე და წარმატებაც-კი საშურველად გახდომია?...

საბრალო პროვინციის არტისტები!...

## რუსეთი

—

ბალტიის იქითა მხარეს წესდება სამი ახალი მართლ-მადიდებელთა სამრევლო. რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინადადებისამებრ, გარდაწყვეტილია იმავე მხარეში სოფლის ლოტრანგთა სასწავლებლებთან გაიმართოს რუსულ წიგნთა საწყობები, რომლისათვისაც 2,000 მანეთამდე იქმნება გადადებული. ეს ღონისძიებანი იქნება მიღებული იმ აზრით, რომ გარუსებულ იქმნენ ბალტიის იქითა მხარეში მცხოვრებნი.

—

წარსულ თებერვლის ექვს მოსკოვის-ყაზანის რკინის გზის „რიაზანის» სადგურზედ ხსენებულ რკინისგზის საზოგადოების ხარჯით დაუარსებიათ სამაგალითო დედათა ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელიც საერო განათლების სამინისტროს უწყებაში იქმნება.

—

29 მარტიდგან 5 აპრილამდე რომში მიწვეულია სამკურნალო საერთაშორისო კრება. საიმპერატორო სამხედრო სამკურნალო აკადემიის წარმომადგენლებად ამ საერთო-შორისო კრებაზედ რუსეთიდგან იგზავნებიან აკადემიკოსი თავადნი ი. რ. თარხან-მოურავი და პროფესორები ა. ი. დანილევსკი და გ. ს. სუბბოტინი.

—

პეტერბურგში ხმა დადის, რომ ფონ-ვიზინმა დედათა სამკურნალო კურსების სასარგებლოდ 450,000 მან. შესწირაო.

—

ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს პირველ ხარისხის სადამოჟნოები გაჰმართოს შუა აზიის შემდეგს ადგილებში: კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასხაბადსა, უტახსა და ბუხარაში. სადამოჟნო ლიანდაგი იწყება ჩიკიშლიართან, კოპეტ-დაგას მთას გასდევს, მიდის სერახსსა და ტაშკეპრის, კერკზედ ამუ-დარიას გადადის, ავღანისტანის საზღვარს გაჰყვება და პამირში დამთავრდება. მეორე ხარისხის სადამოჟნოები გაიმართება: მერვსა, კერჩსა, კელიფსა და სერახსში.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ვენიდგან იუწყებიან პარიზში, რომ ავსტრიის იმპერატორი დიდად ნასიამოვნებია საფრანგეთში ყოფნითა და იმ მასპინძლობით, რომელიც რესპუბლიკის მთავრობამ გაუწიაო.

—

ნუ თუ დარაჯსაც არ შეუტყვია?..
ამ ფიქრში იყო იგი, რომ უცბად
გულს მოხვდა მტრისა ნასროლი ტყვია...
„ვაიო!“ ერთი ამოიკვნესა,
მკვდარი დაეცა ძირს მშვენიერი
და იმის ქორფა ალისფერ ტუჩებს
წამსვე გადეკრა ლაინის ფერი...
ხმარა მოსჩანს ახლოს მიდამო,
თოფების კვამლსა სულ შეუბურავს...
მიწაზედ გდია ჩერქეზთ თავადი,
სისხლის მორევში საბრალო სცურავს.
თავს არ დასტირის მოხუცი დედა,
მისთვის არ იწევს ჭალარა თმასა...
უპატრონოდ გდია მინდორში,
არვინ უმზადებს კუბო-საფლავსა.
დგანან ჩერქეზნი, ელიან ჭაბუკს
მტრის ბანაკიდან გამარჯვებულსა,
მაგრამ დრო მიდის და ამხანაგსა
ვეღარა ხედვენ დაბრუნებულსა.
შეფიქრდა ყველა, იგრძნეს, რომ მისი
დაგვიანება კარგს არას ნიშნავს
და თათბირობენ: „ვაი, თუ მტერმა
ულმობლად დააკლა ის თავის ნიშანს!..“
მიდის მეორე მტრის ბანაკისკენ,
გულში არა აქვს არაფრის შიში,
მხოლოდ ამას სწუხს, მანდილი არ აქვს:
რა გამოავლოს ზარბაზანს პირში?..
ამ დროს შეხედა ძვირფასს ამხანაგს,
მტრისა ბანაკთან მოკლული გდია,
თითქო რაინდსა გამოსაცნობად
რომშას მანდილი გულს დაუდვია.
მიუახლოვდა, მაგრამ ამასაც
გარს შემოერტყა მტრისა ლაშქარი:
ესროლეს თოფი და წყაროსავით
წასკდა გულიდან სისხლისა ღვარი.
ამ გვარად ჩერქეზთ საუკეთესო
ბოროტის რჩევით დაღვრილი სისხლი
ორსავე სოფელს ტვირთად ვატარო!..
შორს ჩემგან, ღვთისგან შეჩვენებულო,
გამცილდი, თვალით არ დამენახო!
როგორ გაბედავ, ჩემის ძმის სისხლით
გასვრილი ხელი ჩემს ხელს შეახო!?..
სამშობლოს ხსნა და ბედნიერება,
შენ არასოდეს არ გდომებია:
კაცთა მალეურად მოვლინებულსა
სატანის გუნდი შეგტომებია!...
რად მინდა შენი მშვენიერება,
მთელს ქვეყანაში სახელ-განთქმული,
თუ ეგ სიტურფე ყოველის მხრით
ცოდვით და სისლით არის მოცული!
გულით ბოროტმა შეუბრალებლად
ამდენი გმირი შეაკლ მტერსა,
მაგრამ, იცოდე, იმათი სისხლი
მოგეკითხება განკითხვის დღესა!.
წადი, ბოროტო, ნახე, დასტკბე,
შენის მიზეზით უწყალოდ მკვდარნი,
ნათესავთაგან ცრემლ-დაუყრელთა,
თავს დასჩხავიან ყვავნი, ყორანნი...
აჰ, ცბიერო, შენი მანდილიც,
იმათი სისხლით დამძიმებული,
კისრად ატარე უკუნისამდე
და იყავ ღვთისგან შეჩვენებული!...
შენისავ კბილით იგლეჯდე ხორცსა,
შენატრებოდეს ბოროტს სიკვდილი,
მიწამ განგაძოს—და ჯოჯოხეთშიც
არ მოგეპოვოს ღირსი ადგილი!!
და თვით ეგ კოშკი, ეგ შენი ბინა,
მეხმა და სეტყვამ გაანადგუროს,
ვით ღირს მემკვიდრემ ბოროტ სულისამ
ქაჯმა და მავნემ შიგ ისადგუროს!...
რა დაასრულა გმირმა ეს სიტყვა,
მისცა, მანდილი დაწყევლილ ქალსა
და როგორც ელვა—ისე სისწრაფით
იბრუნა პირი, გაუდგა გზასა...

VI

შუა ღამეა... წვიმა და ქარი
ტყის ნადირივით საზარლად ღმუის
და მთისა ღელე გულ ამღვრეული,
გაშმაგებული მორბის-მოშხუის.
სიბნელისაგან გზა არეულნი
მგზავრნი ძველ ჭანდარს შეფარებიან,
ვითა წიწილნი კრუხის ფრთის ქვეშე
წვიმა-ქარიშხალს ემალებიან...
ასტყდა საზარი ჭექა-ქუხილი,
წყვდიადი მეფობს, ჰოსჩანს არღარა,
ამხანაგთ თათბირს წყნარად ყურს უგდებს
ხის ძირში მდგომი თმა-წვერ ჭაღარა...
ერთი მათგანი ურჩევს დანარჩენთ:
„თუ დაიჯერებთ, მე კარგად გეტყვით,
დანგრეულ კოშკში რომ შევიდოდეთ,
არ დავსველდებით წვიმით და სეტყვით.“
რა „კოშკი“ ესმამოხუცს თანამგზავრს,
მაღლა ასწია ჭაღარა თავი
და უთხრა: ნუ თუ არა გსმენიათ
მაგ დანგრეულის კოშკის ამბავი?..
ეგ კოშკი, სადაც შენ შესვლას გვირჩევ,
ძველის დროიდან დაწყევლილია,
ყველა გვერდს უხვევს: მაგის მიდამოს—
განშორებული, განდევნილია...
ძველად, ერთ დროსა მაგ მაღალ კოშკში
სცხოვრებდა თურმე ლამაზი ქალი,
მაგრამ რაღაცა ურჩობისათვის
განრისხებია დიაცს უფალი—
და მის ბრძანებით მაღალი კოშკი
მოულოდნელად ჩამოქცეულა,
ჭერ-იატაკნი მარმარილოსი
ნადირთ და მხეცთა ბინად ქცეულა.
თვით იმ ქალს, ღვთისგან შეჩვენებულსა,
ჯერაც სიკვდილი არ ღირსებია,
ძვლებზე დაკრული გამხმარი კანი
ქალამნის ჯღანსა დამგვანებია...
თვალები ერთ დროს ცეცხლის მფრქვეველი,
ჩაღრმავებული ძლივს-ღა მობჟუტავს,
ფუნთრუშ-ლოყები, დღეს შელეწილი,
ქვევრის მონათხარ ორმოს მიუგავს.
მზესა და მთვარეს ვერ დაინახავს,
უფლისგან ნება არა ჰქონია,
წყალს თუ დაჰხედა, იკივლებს, თურმე
ადამიანის სისხლი ჰგონია...
მხოლოდ ამ ნაირს ბნელსა ღამეში
აეტუზება კოშკის ნანგრევებს,
ხელში აქვს თურმე რაღაც ქსოვილი
და ზედ კითხულობს კაცთა სახელებს·
რა სათითაოდ ამოიკითხავს,
თავში წაიშენს, იგლეჯავს თმასა,
გულ-მკერდს იხოკავს გრძელის ფრჩხილებით,
დაუზოგველად თავს იცემს ქვასა...
და რა ხელებსა სისხლით შეიღებს,
ყელზე მოიგდებს თავის ფლასსა
და შემდეგ ისე თმა-გაწეწილი
კივილ, ჩხივილით გადირბენს მთასა...
განდეგილი

**გერმანია.** გერმანიაში მიწად მფლობელნი დიდად გაამწვავა დამტკიცებამ რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელ-შეკრულობისამ. ესენი წინადაც დიდნი წინააღმდეგნი იყვნენ ამ ხელშეკრულობისა, მაგრამ მთავრობამ სოციალ-დემოკრატებისა და პოლონელების შემწეობით მოახერხა იმათი დამტკიცება. ეხლა მიწად-მფლობელნი დიდად ჰკიცხავენ მთავრობასა და რუსეთის წინაღმდეგ ცხადს ბრძოლას ჰქადაგებენ. ბისმარკი ურჩევს მიწის-მფლობელთ, რომ ნუ ხართ გამწვავებულნი, მოთმინება იქონიეთ. კონსერვატორთა დასს ეუბნება, რომ თქვენი დროც დადგება, თუ თქვენვე არ შეუშლით ხელს საქმეთა მსვლელობას. კაპრივიმ გამარჯვება დაინარჩუნა თავისუფალ-მოაზრეთა, პოლონელთა და სოციალ-დემოკრატების შემწეობით, მაგრამ ასეთი კავშირი ყოვლად შეუძლებელია და ამ ახლო ხანში ორში ერთ-ერთი იქნება: ან ეს მოკავშირენი გადაეხვევიან კანცლერს და ამ ხვევნაში სულს დაალევინებენ, და მაშინ თქვენ, კონსერვატორები იქმნებით მხსნელნი წესისა, ან კანცლერი თითონვე მოიშორებს თავიდგან თავისს საშიშსა და საფრთხილო მეგობრებს, და მაშინ ისევ კონსერვატორები იქნებით მოგებაშიო.

—

ამას წინად პარლამენტში შუაგულ დასის დეპუტატს ლიბერს წარმოუთქვამს სიტყვა და განუცხადებია, ვინც რუსეთს იცნობს, იმას ისიც ეცოდინება, რომ იქ პანსლავისტური მიმართულება ჰსუფევს და რუსეთი სრულიადაც არ არის მოწადინებული ეკონომიური ერთობა იქონიოს ევროპასთან. ჩვენ სავაჭრო ხელ-შეკრულობის დადგენით ის სიკეთე ვქმენით, რომ რუსეთი ჩავითრიეთ ამ ერთობაში და ეხლა დიდი იმედია, რომ ამითი რუსეთის პოლიტიკაზედაც გავლენას ვიქონიებთ. გაიხსენეთ სიტყვები ბისმარკისა, რომელმაც განაცხადა, რომ გზა სტამბოლისაკენ ბრანდენბურგის ჰის-კარიაო. ამიტომ ჩვენ გვინდა, რომ რუსეთი არ შევიდეს სტამბოლში, რადგან ის საათი, რა საათსაც ჯვარი აღიმართება წმ. სოფიის ტაძარზედ, გერმანიის ევროპის სიკვდილის საათი იქნებაო.

—

**ინგლისი.** „შოტლანდიის საზოგადოებამ ჰომრულისამ“ ამ დღეებში შემდეგი განაჩენი დაადგინა: „შოტლანდიის საზოგადოება ჰომრულისა დიდად გაოცებულია იმის გამო, რომ დედოფლის სეფე-სიტყვაში არაფერი იყო-რა ნათქვამი შოტლანდიის ჰომრულის შესანიშნავს საქმეზედ. ეს საზოგადოება იმ აზრისაა, რომ რაც უფრო ძლიერ იქმნება თვით-მართველობა შემოღებული დიდის ბრიტანიისა და ირლანდიის შეერთებულ სამეფოს ყველა ნაწილში, მით უფრო უკეთესია. ასე გადაწყვეტა საქმისა სრულიად ეთანხმება ინგლისის კონსტიტუციას ⁊ პირველი ⁊ აუცილებელი პირობაა დასაარსებლად საიმპერიო ფედერაციისა, რომელსაც ამდენი წელიწადი ჰქადაგებდა აწინდელი მთავარ-მინისტრი. საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ლორდი როზბერი ამ სა[illegible]ნის შესახებ თავისს აზრს გამოს-თქვამს ედინბურგის სიტყვაში 5 მარტსაო.»

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

საფრანგეთის მცხოვრებლების შესახებ შემდეგი ცნობებია გაზეთებში. საფრანგეთის მკვიდრთა ნახევარ ნაწილამდე მიწად-მოქმედებას მისდევს, $\frac{1}{4}$ მრეწველობას, $\frac{1}{10}$ ვაჭრობას, $\frac{4}{100}$ თავისუფალს ხელობას ადგა და $\frac{6}{100}$ მამულებითა და შემოსავლითა სცხოვრობს უზრუნველად.

მიწად-მომქმედთაგან 9,176,000 კაცი ჰმუშაობს მიწას. დიდი მრეწველობა 1,130,000 კაცს აძლევს სამუშაოს, მცირე—6,093,000 კაცს.

ვაჭართა შორის 789,000 ბანკირია, კომისსიონერი და ნარდად მოვაჭრე,—1.895,000—მედუქნე და პატარა ვაჭარი და 1.164,000 სასტუმროს, ყავახანისა და სასმლების დუქნების პატრონი.

რკინის გზა, სხვა გზები და სავაჭრო ხომალდები 800,000 კაცს აძლევს სამუშაოს.

სახელმწიფო და სხვა მოხელეობა 805,000-ია.

ყველა სარწმუნოების სამღვდელოება შეადგენს 112,000 კაცს; სარწმუნოებრივ კრებულთა წევრნი 115,000 კაცი, სასჯულო მეცნიერებას ადგას 156,000 კაცი, ექიმობას 130,000, მასწავლებლობას 111,000, მხატვრობასა და არტისტობას 1.210,000, მეცნიერი, ლიტერატორი და ჟურნალისტი 23,000 კაცია. იმათი რიცხვი, რომელნიც თავის შრომით არა სცხოვრობენ, არამედ შემოსავლითა და მამულების ქირით,—1.849,000-ია, ხოლო დამსახურებულის პენსიით 272,000 კაცი სცხოვრობს.

## გასართობი

—

ერთს საზოგადოებაში ამბობდნენ, რომ ოტაიტში შეყვარებულთ ჩვეულებათა აქთო, სიყვარულის ნიშნად ერთმანეთის სახელს დაირქმევენო და ერთმანერთს ეტყვიან: „მე ეხლა შენი სახელი მქვიან და შენ ჩემიო“. ამ ლაპარაკს მეესწრო ერთი ხანში შესული უცოლო კაცი, მიუბრუნდა ერთ იქ მყოფს მშვენიერს ქალს და უთხრა:

— ჩვენში რომ ეგ ჩვეულება იყოს, ნეტაი თქვენ რამდენი სახელი გექმნებოდათ დარქმეული?

— არ ვიცი, უპასუხა ქალმა დაცინვით, მაგრამ გარწმუნებთ-კი, რომ რაც უნდა მრავალი სახელი მრქმეოდეს, მათ შორის თქვენი სახელი არ ერეოდაო.

—

ერთი ექიმი ძალიან მხიარული, საყვარელი და ენა-მახვილი კაცი იყო, მაგრამ ექიმის ხელოვნებით-კი თავს ვერ მაიწონებდა, მაინც ყველას ძალიან უყვარდა და ნამეტნავად ქალები ევლებოდნენ თავს, იგი ყველას მუდმივი სტუმარი იყო: ერთი გრაფის მეუღლე უიმისოდ ერთს დღესაც ვერა სძლებდა, მოიწვევდა ხოლმე, იმის ლამაზს ლაპარაკს ერთს ორ საათს მაისმენდა და დიდად კმაყოფილი დარჩებოდა. ერთხელ, წარმოდგინეთ, იმისი გაოცება, როდესაც ეს ექიმი მივიდა გრაფისას, მოსამსახურემ კიბეზედ არ აუშვა.

— რა ამბავია, გრაფის მეუღლე ალბად სასეირნოდ წაბრძანდებოდაო? იკითხა ექიმმა.

— არა, ჩემო ბატონო, შინ გახლავთ, მაგრამ შეუძლოდ არის და არ მიბრძანა დღეს თქვენი მიღება.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადო ჩემისა და საზოგადოების სახელით ცხინვალის სომეხთა მანდილოსანთ, რომელთაც წესად დასდეს, რომ ყველა საღამოზედ ლოტოს თამაშობიდან რამდენიმე მანათი გადასდონ ხოლმე ჩვენის საზოგადოების სასარგებლოდ.

დიდ მადლობას ვუძღვნი აგრეთვე მარიამ სტეფანეს ასულს იარალოვისას, რომელმაც თავს იდვა ეს კეთილი საქმე და ცოტა ხანში სამ თუმნამდე ფული შეაგროვა ლოტოსი ჩვენის საზოგადოების საქველმოქმედო საგნისათვის.

თავჯდომარე ცხინვალის სომეხთ საქველმოქმედო საზოგადოების ცხინვალის განყოფილებისა

იოვანე ზაქ.-ძე ტერ-სტეფანოვი

### II

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესს მადლობას ვუცხადებ კნ. მ. მაყაშვილისას, რომლის მოთაოსობითაც წარსულ 25 თებერვალს გამართული იყო საცეკვაო საღამო თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ. მადლობას ვუძღვნით აგრეთვე მ. ტერ-აბელ ხუქასოვს, თ. იური ჭავჭავაძეს, თ. ლ. ვახვახიშვილს, კ. მარჯანიშვილს, მ. ცისკარიშვილს და აგრეთვე ყველა იმათ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და კნ. მ. მაყაშვილისას დაეხმარნენ ამ საღამოს გამართვაში. საღამოს შემოსავალი იყო 251 მან. 82 კაპ. აქედგან სასწავლებლის სასარგებლოდ დარჩა 194 მან. 94 კაპ.

თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის გამგეობის წევრი ეკატერინე აბელოვისა

### III

ბ-ნო რედაქტორო!

განვიზრახეთ რა დაარსება ახალციხის მაზრის სოფ. მუსხის სკოლასთან საჯარო წიგნთ-საცავისა და სამკითხველოსი, მივმართავ ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნების გამომცემელ ამხანაგობას, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და ყველა იმ განათლებულ ქართველს, ვისაც მცირე სიკეთე რამ მოაგონდება მესხეთისა, და უმორჩილესად გთხოვთ დახმარება აღმოგვიჩინონ ამ კეთილ საქმეში ჟურნალ-გაზეთების და წიგნების უსასყიდლოდ გამოგზავნით. ყოველისავე შემოწირულის რაოდენობა და შემომწირველთა სახელი და გვარი ჩემ მიერ გამოცხადებული იქნება თავის დროზედ გაზეთში. გაზეთ-ჟურნალები, წიგნები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Въ Ахалцихъ. Учителю Мусхійской школы В. Котпонашвили.

მუსხის სკოლის მასწავლებელი ვასილ კოპტონაშვილი.

# დეპეშა

14 მარტი

**პეტერბურგი.** ხალხის მატარებლებზედ დაწესებულ ნიხრის გადამსინჯველმა კომისსიამ დაადგინა: მე-3 კლასისათვის გზის ფული აწინდელივე გარდახდეთ მგზავრებს, მხოლოდ ანგარიშში მიღებული იყოს 160 ვერსამდე: მოუმატონ ხოლმე 300 ვერსამდე $\frac{9}{10}$ კაპ., 500-მდე—$\frac{8}{10}$ კაპ., 700-მდე—$\frac{7}{10}$—კაპ., 1000-მდე $\frac{5}{10}$ კაპ., 1500-მდე $\frac{5}{10}$ კ., ხოლო იმაზედ მეტზედ—$\frac{4}{10}$ კაპ. მე-2 კლასისა შესაფერსავე მანძილზედ გარდახდეთ $1\frac{1}{2}$-ჯერ მეტი, ხოლო პირველს კლასისა—$2\frac{1}{2}$-ჯერ მეტი. სახელმწიფო გარდასახადი პირველ კლასისა გამოერთმევათ 25%, მე-2 და მე-3 კლასისა—15%.

აქ იმედი აქვთ, რომ 15 აპრილამდე სრულიად შედგენილი იქნება სამეურნეო სამინისტრო. ხმა დადის, რომ მიწათა განკარგების განყოფილების დირექტორად გენერალი ჟილინსკი დაინიშნებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 მარტი.

| | მყიდველი. | გამყიდველი. | გაყიდული. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,49 | 7,52 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $149\frac{1}{2}$ | $150\frac{1}{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $243\frac{1}{4}$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $221\frac{1}{2}$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოშგ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $192\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | $101\frac{3}{8}$ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | $98\frac{3}{4}$ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | $101\frac{3}{8}$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | $98\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98\frac{1}{4}$ | — ,, | — ,, |


## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12\frac{1}{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7\frac{1}{2}$ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7—$7\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მევლე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| რამდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ჟ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . | „ | 10 |